გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 96
(11 348)

10 – 13 დეკემბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდი გამარჯვება!

სუმოში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში იაპონელთა ჰეგემონიას პირველმა ქართველმა ფალავანმა ლევან ეზანოიძემ შეუყენა წყალი



საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა ლევან ეზანოიძე

ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე სპორტის ისეთ სახეობას, რომელიც ჩვენში ფეხათრევით დანერგილიყო და მაღალი შედეგები გვიან მოგვემკას. სიახლეს მუდამ ადვილად ულებენ ალღოს ჩვენი ნიჭიერი სპორტსმენები და ზოგჯერ დიდი წარმატება, მსოფლიოს გასაოცრად, ძალიან ადრეც კი მოდის. ასე მოხდა სუმოშიც, იაპონელთა ამ უძველეს და ტრადიციულ სპორტის სახეობაში, რომლის ჩართვას, ძიუდოს მსგავსად, ოლიმპიურ პროგრამაში ცდილობენ იაპონელები და მიზანსაც მიაღწიეს – უკვე 2008 წლის თამაშებში სუმო ოლიმპიური სახეობა გახდება. ოლიმპიურ რანგში აყვანის ფაქტმა, რაღა თქმა უნდა, გაააქტიურა სუმოს დანერგვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საოცარია, მაგრამ ფაქტია, თვით იაპონელთა თხოვნით, მსოფლიო ჩემპიონატი არ შედგება თუ მასში სულ მცირე ჩვენი პლანეტის ოთხი კონტინენტის წარმომადგენელი არ მონაწილეობს, ამასთან, აუცილებელია შეჯიბრებაში ჩაერთოს მინიმუმ 25 გუნდი, თითოეულმა კი ორ ათლე-

იხ. მე-2 გვ.

XI

თვის მონაგარი

მედლები მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატებიდან

ოქტომბერში ჩვენი სპორტული ნადავლი თუ ძირითადად ახალგაზრდების წილად მოდიოდა, ნოემბერში მთლიანად მოზრდილებმა გამოიჩინეს თავის — ათასი პრობლემის გადალახვით მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში გიორგი ასანიძის ვერცხლის მედალი ატაცში. მართალია, ათენში მეტი მედალი ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ დავიმსახურეთ მომავალი ოლიმპიური თამაშების სამი ლიცენზია. სამბოს ჩვენმა ოსტატებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და მსოფლიო ჩემპიონატში ერთი — I, ერთი — II, ორი — III ადგილები დაიკავეს, ასევე უხვი მედლებით დაბრუნდნენ შინ მკლავჭიდელები, ვეტერანებში კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა მოჭადრაკე თამარ ხმიადაშვილი. გასულ თვეში სულ მოპოვებულია ოქროს — 4, ვერცხლის — 5 და ბრინჯაოს — 2 მედალი, ყველა მსოფლიო ჩემპიონატებიდან. სპორტის სათამაშო სახეობებში მხოლოდ შინაურ ასპარეზობებს დავჯერდით. ზოგიერთ სახეობაში ეროვნული ჩემპიონატები ჩამთავრდა, ზოგმაც ნახევარი დისტანცია გაიარა. რაგბიში, მაგალითად, ბათუმის „დათვებმა" ვადამდე მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. წარმატებით ასპარეზობენ ბათუმელები აგრეთვე ვაჟ კალათბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში. რაკი ბათუმზე ვსაუბრობთ, აქვე ისიც ვთქვათ, რომ დიდი ხნის უძრაობის შემდეგ საქართველოში სწორედ ამ ქალაქში აიგო ახალი სპორტული ბაზა — ჭადრაკის მშვენიერი სასახლე, სადაც ნოემბრის ბოლოს მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიხსნა.

ქართულ სპორტში ნოემბერშიც გრძელდებოდა ეკონომიკური კრიზისი, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს სპორტის ცალკეულ სახეობებზე, მით უფრო, რომ წინაა ოლიმპიური თამაშები. თბილისის მერის ვანო ზოდელავას შემწეობა რომ არა, გერმანიაში ვერ გაემგზავრებოდა ოლიმპიადისთვის უკეთ მოსამზადებლად ნინო სალუქვაძე. სპონსორები, სამწუხაროდ, ისევ სდუმან. ახლა დიდი იმედი რჩება განახლებულ პარლამენტზე, სადაც აქამდე არნახული რაოდენობის სპორტში მომუშავე, სპორტთან დაახლოებული თუ ადრე ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები შეიყარნენ.

წელიწადი იწურება, მიიწურა ძირითადი ასპარეზობებიც. დეკემბერი ალბათ ყველაზე ღარიბი თვე იქნება. წლის შედეგებსაც ახალი წლისთვის შევაჯამებთ.

წოდების მინიჭება

მსოფლიოს სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (აიბა) საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვის კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, კრივის ევროპის ასოციაციის (ეაბა) რეფერის ***დავით ქავთარაძეს***.

ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი – 1.9700 ლარი.

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

მსოფლიო საფეხბურთო სამყარო 2002 წლის ჩემპიონატის ფერხულში ჩაება. ტოკიოში წილისყრამ ეროვნული ნაკრები გუნდები შესარჩევ ჯგუფებში გაანაწილა.

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: ფიფას გენერალური მდივანი ცენ-რუფინენი (შუაში) და კენჭისყრისას მისი ასისტენტები — სუმოში მსოფლიო ჩემპიონი კონიშიკი (მარცხნივ) და უგო სანჩესი.



ფიფას პრეზიდენტი პატარა იაპონელ ასისტენტებთან

ფეხბურთის მილიონობით მოყვარულის მზერა 7 დეკემბერს ტოკიოსკენ იყო მიპყრობილი, სადაც უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც „ტოკიო ინტერნაციონალ ფორუმი" ჰქვია, ფიფას წევრი 203 ქვეყნიდან 197-ის წარმომადგენლები შეიკრიბნენ 2002 წლის მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის წილისყრაში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ჩემპიონატის თითქმის 70-წლიან ისტორიაში, როცა მონაწილეთა რაოდენობამ სარეკორდო ზღვარს მიაღწია და წილისყრის ცერემონიას 1,5 საათის განმავლობაში თითქმის მილიარდი გულშემატკივარი ადევნებდა თვალყურს ტელევიზიით. საგულისხმოა, რომ შესარჩევ ციკლში ჩატარდება 750-ზე მეტი მატჩი, გამოვლინდება 29 უძლიერესი, რომლებიც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მიიღებენ. ფინალურ ეტაპზე მათი რიცხვი გაიზრდება 32-მდე, როცა წინა ჩემპიონი – საფრანგეთი და ახლანდელი ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდები დაემატებიან.

კენჭისყრა, რეგლამენტის შესაბამისად, ექვსივე კონფედერაციამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაატარა: ჯერ აზიამ, შემდეგ ოკეანიამ, სამხრეთ ამერიკამ, ჩრდილოეთ და ცენტრალურმა ამერიკამ, აფრიკამ და ბოლოს ევროპამ. სწორედ აქ წყდებოდა ჩვენი ბედი. მე-8 ჯგუფი: რუმინეთი, იტალია, ლიტვა, უნგრეთი, საქართველო — ასეთია ჩვენი ხვედრი.

სფფ-ს თავკაცები გახარებულები არიან კენჭისყრით, მაგრამ გააჩნია რა საზომით მივუდგებით, რა შკალას მივუსადაგებთ დონის განსაზღვრას. დღეს რომ ჩვენს ნაკრებს მის წილხვედრილ მეტოქეთა გამკლავება არ ძალუძს, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს. „ევრო 2000"-დან ძალიან უიმედო ფონი

იხ. მე-3 გვ.

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქართულ სპორტში უმწვავესი კრიზისის დასაძლევად?

„ლელო" აგრძელებს სპეციალისტთა გამოკითხვას ქართულ სპორტში თავჩენილ უმწვავეს პრობლემებთან დაკავშირებით. ამჯერად მათ წინაშე დაისვა შეკითხვა: „რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქართულ სპორტში უმწვავესი კრიზისის დასაძლევად?" სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილეობდა 76 რესპონდენტი.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობაში აშკარად იგრძნობა გულგატეხილობა და პესიმიზმი. ისინი, ვითარებას, მართალია, კრიტიკულად აფასებენ, მაგრამ ვერ ხედავენ მყარ საფუძვლებს, რომელიც პრობლემების დაძლევის გარანტად შეიძლება იქცეს. და მაინც, გამოკითხულთა 58 პროცენტს მიაჩნია, რომ ქართულ სპორტს სახელმწიფომ უნდა უპატრონოს, საჭიროა საგანგებო პოლიტიკის, მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და მათი უთუოდ რეალიზაცია. 21 პროცენტი თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სპონსორობა, ფირმებს მისცენ მოგების ხარჯზე ქველმოქმედების უფლება, მაგრამ ეს უნდა იყოს კოორდინირებული სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის მიერ. გამოკითხულთა 12 პროცენტს სჯერა, რომ მდგომარეობა ასეთი სავალალო არ იქნებოდა, უცხოეთში წასული ჩვენი სპორტსმენების სატრანსფერო შემოსავლების საკითხში რომ განუკითხაობა არ სუფევდეს. გამოკითხულთა 7 პროცენტის აზრით, ინვესტიციები ქართულ სპორტშიც უნდა მოვიზიდოთ, რადგან სპორტსმენთა სატრანსფერო მსოფლიო ბაზარი დღეს მომგებიან ბაზართა სათვალავში შედის. 2 პროცენტი საბოლოოდ ხელჩაქნეულია და აცხადებს, რომ ქართული სპორტი დიდი ხანია დაღუპულია და ახლა მხოლოდ ინერციით მიდის საბოლოო აღსასრულისკენ...

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 დეკემბერს, 14 საათზე, ჟურნალისტთა სახლში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. სსჟა-ს აღმასკომის საანგარიშო მოხსენება;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. ცვლილებები სსჟა-ს წესდებაში;
4. არჩევნები.

სსჟა-ს აღმასკომი

დიდი გამარჯვება!

(პირველი გვერდიდან)

ტზე ნაკლები არ უნდა გამოიყვანოს საასპარეზოდ პირად პირველობაში, საერთო გუნდურში – 3. იგივე მოთხოვნებია ქალთა სუმოშიც. ასეთმა სიმკაცრემ უფრო აამაღლა სპორტის ამ სახეობის ავტორიტეტი მსოფლიოში.

გერმანიის ქალაქ რიეზაში ამჯერად გამართულ მსოფლიოს მერვე ჩემპიონატში მონაწილეობდა 39 ქვეყნის 300 წარმომადგენელი. საქართველოს დელეგაცია საასპარეზოდ 3 ვაჟით წარსდგა (ქალთა სუმო ჩვენში ჯერ არ დამკვიდრებულა). სუმოს საქართველოს ფედერაციამ (პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე) მსოფლიო ჩემპიონატზე სამი მძიმეწონოსანი ათლეტი მიავლინა – ჯონდო დაბრუნდაშვილი, ხვიჩა ქობალია და ლევან ებანოიძე. დაბრუნდაშვილი VIII ადგილს დასჯერდა, ხვიჩა ქობალიამ ტრავმა მიიღო და საბოლოოოდ V ადგილზე დარჩა. გასაოცრად სტაბილურად იასპარეზა ლევან ებანოიძემ აბსოლუტურ წონაში. ლევანმა ბრწყინვალე გამარჯვებებით გაიკვლია გზა ფინალამდე – ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან მსოფლიოში აღიარებული სუმოს ოსტატები, მათ შორის გერმანელი შეიბნერი – ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ესტონელი ფუნარკუს – მ/ჩ შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი.

ფინალში შემთხვევით არავინ ხვდება, ჩვენიანის მეტოქე აქ იყო იაპონიის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი, აზიისა და იაპონიის მრავალგზის ჩემპიონი მოყვარულთა შორის ტაკიზოუ ტირუ. სპორტის ამ სახეობის მამამთავრები უცვლელად დომინირებდნენ წინა შვიდ მსოფლიო ჩემპიონატში და ახლა მერვე ასპარეზობა გახდა მათთვის საბედისწერო. ძიუდოსი არ იყოს (შოთა ჩოჩიშვილის გაჩემპიონება ოლიმპიურ თამაშებში, 1972 წელი, მიუნხენი), სუმოშიც ქართველმა გამოსტაცა პირველმა ოქროს მედალი იაპონელებს ყველაზე პრესტიჟულ აბსოლუტურ წონაში, ჯერჯერობით ყველაზე უმაღლეს ასპარეზობაში – მსოფლიოს ჩემპიონატში.

მედლების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ. პირველი იყო – იაპონია. შემდეგ მოდიან: 2. ბულგარეთი, 4. პოლონეთი, 5. რუსეთი. 6. აშშ, 7. უნგრეთი. საგულისხმოა, რომ რუსეთმა 7 სპორტსმენი მიავლინა ჩემპიონატზე და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ გუნდს დელეგაციის კიდევ 20 წევრი ახლდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ქვეყანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოლიმპიური თამაშების მომავალ ბინადარს – სუმოს.

– 22 წელიწადი თავისუფალ ჭიდაობაში ვვარჯიშობდი. შემდეგ 5 წელიწადი აღარ გავკარებივარ ხალიჩას და, როცა ჩვენამდე სუმოს დანერგვის ამბებმა მოაღწია, მწვრთნელმა თამაზ ჩხარტიშვილმა მიმიყვანა სავარჯიშოდ, მეგობრებმაც წამაქეზეს. ფედერაციის ხელმძღვანელებმა თენგიზ რუხაძემ და ანზორ მარტყოფლიშვილმა ყველაფერი იღონეს, რომ სუმოს ჩვენში თამამად აედგა ფეხი. ყველა წარმატებაში დიდია მათი დამსახურება. მადლობა პირად მწვრთნელს თამაზ ჩხარტიშვილს – უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს ლევან ებანოიძემ.

იაპონელებმა 3 ქართველი სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი მიიწვიეს მერმისს, იაპონიაში მაისში დაგეგმილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენებს აქ მთლიანად იაპონელები დააფინანსებენ. მანამდე, აპრილში, გერმანიის ღია ჩემპიონატია, ისევ მაისში უკრაინის პირველობაა, ივლისში საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს იაპონიამ, რუსეთმა და სავარაუდოდ უკრაინამ, სექტემბერში კრაკოვში ევროპის პირველობაა, დეკემბერში კი სან-პაულო (ბრაზილია) მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატს უმასპინძლებს.

– ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ალმასვლის ტემპი არ განელდეს. საქართველოს სუმოს ოსტატები მომავალში უფრო ანგარიშგასაწევი გახდებიან მეტოქეებისათვის, მათ შორის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებში – ამბობს თ. რუხაძე.

მაშ ასე, 33 წლის ლევან ებანოიძე მსოფლიოს ჩემპიონი და გუნდური პირველობის მესამე პრიზიორია, წლეულს ლევანი ევროპის ჩემპიონიც გახდა და საქართველოს აბსოლუტური პირველობაც მოიგო. შესანიშნავი მიღწევებია, რაც მას უდიდეს შანსს აძლევს დასახელდეს ჩვენი ქვეყნის 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენად.

თ. თომაშვილი

გიორგი სიხარულიძე – 90

9 დეკემბერს 90 წელი შეუსრულდებოდა, ამქვეყნიდან იმ დროს წავიდა, როცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი ხალხისთვის. თუ ვინმე როდისმე თავდაჯერებულად და რწმენით მდგარა, საერთოდ, ხელმძღვანელის საჭესთან, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი იყო გიორგი სიხარულიძე. ადამიანის ორგანიზატორული ნიჭი, მისი შრომის შედეგით იზომება. ამ კაცმა ისე იღვაწა და იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ მისი სახელი ლამის ლეგენდად, ხელმძღვანელის მეტრად იქცა და არა მხოლოდ სპორტში. ქართული სპორტის თავკაცად მოღვაწეობის წლებშივე იგი ერთ-ერთ ყველაზე უნარიან, ნიჭიერ ორგანიზატორად იყო აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში, აფასებდნენ, მის აზრს პატივს სცემდნენ. იმ წლებში გაჩნდა ახალი სპორტული ბაზები საქართველოში, მათ შორის რაიონებში და სოფლებში, აღმავლობას განიცდიდა სპორტის სახეობები, მოპოვებული მაღალი სპორტული წარმატებებით ახარებდნენ სპორტსმენები სამშობლოს. რაც მთავარია, იმ წლებში გ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მწყობრი სისტემა, რამაც უდიდესი შედეგი გამოიღო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, ჩემპიონატებში, ევროპის, მსოფლიო თუ ოლიმპიურ სარბიელზე მოპოვებულ ქართველ ათლეტთა წარმატებებს, რომელიც ერის სამარადისო მონაპოვრად იქცა, მუდამ საამაყო ფონად გაჰყვება გ. სიხარულიძის როგორც ხელმძღვანელის ხელწერა. რასაც აკეთებდა ყველაფერს მშობლიური ერის სიყვარულით და მსოფლიოში ქართული გენის წარმოსაჩენად აკეთებდა. მართალია იგი მკაცრი, მაგრამ ამავე დროს უაღრესად სამართლიანი, საოცრად გულისხმიერი ხელმძღვანელი იყო. ბედნიერად თვლიდა თავს ყველა, ვინც ამ ნათელ პიროვნებასთან მუშაობდა.

წლები გადის, მაგრამ დრო ვერასდროს წაშლის გიორგი სიხარულიძის უდიდეს ღვაწლს ქართველი ერის ცხოვრებაში.

სურათზე: გიორგი სიხარულიძე და ნონა გაფრინდაშვილი (1962 წ.). უკანა პლანზე — ნინო ქვანია (მარცხნივ) და ნანა ალექსანდრია.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

არჩევანი საქართველოს ნაკრებზე შეაჩერეს

დნეპროპეტროვსკში კონტაქტური ორთაბრძოლების დიდი კომპლექსური ასპარეზობა გაიმართა, რომელშიაც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრებებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა. პროგრამაში პირველად შეიტანეს კარატე-დო. სამატჩო შეხვედრის წყვილის შერჩევისას აქ უპირატესობა ორგანიზატორებმა მიანიჭეს უკრაინისა და საქართველოს გუნდებს, რაც ჩვენი ნაკრების დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს. საპატიო სტუმართა შორის იყო საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს სწორედ უკრაინაში ედგა სათავეში სამხედრო ორთაბრძოლების ასოციაციას. კ. ბასილიამ ამჟამად სასწავლო-საატესტაციო სემინარიც ჩაატარა კარატეს უკრაინელი ინსტრუქტორებისთვის.

უკრაინა-საქართველოს მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. ტექნიკურად მეტოქეები კარგად მომზადებულნი იყვნენ, მაგრამ სულიერი და ფიზიკური ძალების უკეთ მობილიზების წყალობით ქართველებმა უკეთეს შედეგს მიაღწიეს. თავი ისახელეს დათო ქვანიამ, გია ნადირაძემ, ჭაბუკა მახარაძემ, ირაკლი დაშნელმა. ჩვენს გუნდს, პრიზების გარდა, ფულადი საჩუქრებიც გადაეცა.

გაიმართა საქმიანი შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათთან შემდგომი თანამშრომლობა ჩვენს ფედერაციას ეკონომიკურ სიკეთესაც მოუტანს.

მამუკა გიორგაძე

სურათზე: ჭაბუკა მახარაძე (მარცხნივ) და კახა ბასილია.

„რაინდული საქართველოვ, აღსდექ!“

მთიელთა საბრძოლო სტილი: ხევსურული ფარიკაობა. ჭრა–ჭრილობა და სათითენი

შულლის უკეთ გაგებისათვის ოდნავ შევეხოთ მის არსს.

როგორც ვთქვით, შულლი წარმოადგენს მამაკაცებს შორის ჩხუბისნაირსახეობას, რომელიც შერკინებით (ორთაბრძოლით) მთავრდება. შულლის დროს ჩვეულებრივად გამოიყენებოდა ცივი იარაღი (ფარ-ხმალი, ხანჯალი, სათითენი და სხვ). ხევსურეთში მუშტით ცემა არ იყო მიღებული, მუშტი სისხლს ვერ გამოადენდა და ეფექტიც ნაკლები იყო, რადგან მომენტალურ ტკივილს ვერ მიაყენებდა მოწინააღმდეგეს. მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ცივი იარაღის ფლობის ხელოვნება, რომლის დროსაც უნდა მიეყენათ მსუბუქი სისხლმდენი ჭრილობა, რომელსაც თან არ მოჰქონდა ზიანი და სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოდიოდა შურისძიების მკაცრი წესი – მამკლავ-მამკვდრობა ანუ სისხლის აღების წესი.

შულლი შეიძლება წარმოშობილიყო ძველი წყენის ნიადაგზე, რომელსაც ხევსურები – ჯავრ-მეჯავრეობას ეძახოდნენ, შემთხვევითი ჩხუბი, შელახული თავმოყვარეობის აღდგენის სურვილი ანდა საერთოდ, თავისი ფიზიკური მომზადებულობისა და იარაღის უკეთესი ფლობის გამოვლენის და განსაკუთრებით, ქალებისა და ქალიშვილების წინაშე საკუთარი მამაცობის (გმირობის) გამოჩენისა და საკუთარი ავტორიტეტის აწევის სურვილიც შეიძლება გამხდარიყო შულლის მიზეზი (В. Элашвили, Сатитени. Тб. 1960, გვ. 4).

შულლის დროს ძალიან საინტერესოა მოწინააღმდეგეების ანუ მოშულლარების მიერ ერთმანეთის დაშინების – დაღვედრის (ღვედრის) ხელოვნება. მაგალითად, ერთმანეთთან შეხვედრის დროს ერთ-ერთი მოშულლარი შეძახილებით მიმართავდა მეორეს: „მე, ამისა და ამის შვილი ვარ, ესა და ეს დავამარცხე ჭრობაში და შენ ვინა ხარ ჩემთვისაო...“ ასევე არსებობდა მოშულლარის მიმართ წინასწარი მორალური დაწოლის ანუ წახდენის ერთ-ერთი ხერხი – მუქარის დაბარება. თუ მოშულლარი მოწინააღმდეგის ნაცნობს ან ნათესავს შეხვდებოდა, აბარებდა მას საკუთარ მუქარას. მაგალითად, ეუბნებოდა: „აი, რომ ნახო ის მხდალი, გადაეცი რომ მიფრთხილდეს, არ დაეინდობ ბრძოლაში“... და ა.შ. (ვანო ლიქოკელის მონათხრობიდან).

„ცვეთა-ფარების“ ანუ ფარიკაობის დროს, მოშულლარები ცდილობდნენ ჭრილობა ანუ დარტყმა მიეყენებინათ „შუბლის სამი ნაოჭის ზემო არეში“, რადგანაც ამ არეში მსუბუქი ჭრილობის მიყენება, რომელსაც სქელი თავის ქალას ძვლები იცავენ – სიცოცხლისათვის სახიფათო არ იყო, და, საერთოდ, ხევსურები ისე ოსტატურად ხმარობდნენ ხმალსა და სათითენს (ანუ საბრძოლო რგოლებს), რომ მოწინააღმდეგეს აყენებდნენ მხოლოდ მსუბუქი გაკაწვრით ჭრილობებს (იარებს).

„შუბლის სამი ნაოჭის“ ქვემოთ ჭრილობის მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს არსებული რჯულის კანონის თანახმად, ასანაზღაურებელს ანუ „დრამას“ უხდიდნენ.

მიყენებული ჭრილობის ხასიათის მიხედვით „დრამა“ (ანაზღაურება) ან გამოიხატებოდა სამკურნალო ან საექიმო ანაზღაურებით – საფათვლე, ანდა დაზარალებულისადმი განსაზღვრული რაოდენობის ძროხების გადაცემით (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, თბ. 1947, გვ. 163). ხევსურეთში უწინ ერთ-ერთი ანგარიში ძროხის რაოდენობით განისაზღვრებოდა. მაგალითად, აკადემიკოსი ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ თუ ორთაბრძოლის დროს თავის ქალა ზიანდებოდა, მაშინ დაზარალებული „დრამად“ ღებულობდა 12 ძროხას (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ. 1940, გვ. 126). ხევსურებში ჭრილობის ანაზღაურების დროს, მიმყენებელ იარაღის სახეს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამრიგად „დრამა“ ვრცელდებოდა სათითენითა (საბრძოლო რგოლები) თუ ხმლით მიყენებულ ჭრილობებზე თანაბრად.

შულლის დროს მიყენებული ჭრილობის ანაზღაურების ნორმას საზღვრავდნენ შუაკაცები. ისინი წარმოადგენდნენ საპატიო ადამიანებს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ორივე მხარესთან. ღრმა ჭრილობის შემთხვევაში შუაკაცებს ემატებოდა ადგილობრივი ექიმიც – აქიმი ან დასტაქარი, რომელიც ჭრილობის სიმძიმეს შეაფასებდა. ჭრილობის სიგრძეს საზღვრავდნენ ძაფით ან ბალახით. ამ ზომას ზუსტად გადაიტანდნენ ბრტყელ ქვაზე ან ფიცარზე. ამ ხაზზე რიგრიგობით აწყობდნენ ჭვავის ან ქერის მარცვლებს. ისინი ლაგდებოდნენ როგორც სიგრძეში, ასევე სიგანეშიც. კიდურა მარცვლები იღებოდა და დარჩენილი მარცვლების რაოდენობით განისაზღვრებოდა იმ ძროხათა რაოდენობა, რომელიც უნდა მიეცა დაზარალებულისათვის დრამის სახით. თუ ჭრილობა სახეში პირველად იყო მიყენებული, მაშინ კიდურა მარცვლებს არ აიღებდნენ ანუ ჭრილობა უფრო ძვირად ფასობდა (В. Элашвили, Парикаоба, Тб. 1956, გვ.28).

ხევსურეთის მკვლევარი რუსი მეცნიერი ნ. ხუდადოვი აღნიშნავდა, თუ მიყენებული ჭრილობა სახის თმიან ნაწილზე მოდიოდა, მაშინ მარცვალთა 2/3 ნაწილი აიღებოდა, ხოლო თუ ჭრილობა ვრცელდებოდა სახის თმისაგან თავისუფალ ნაწილზე მაშინ აიღებოდა 1/3 მარცვალთა ნაწილი (Н. Худадов, Заметки о Хевсуретии. В1, Тифлис, 1887, გვ. 17).



ხევსური მოშულლარეების შერკინება „სათითენით“ (საბრძოლო რგოლებით)

შულლის დასაწყისი, ანუ შულლად გახდომა ძირითადად ხდებოდა ქორწილებში, სახალხო დღესასწაულებზე, სალმრთოს ქეიფის დროს (სალმრთო აღინიშნება ოჯახში ბიჭის დაბადებიდან 1/2-1 1/2 წლის შემდეგ), მუშაანის ანუ მუშა ძალის დახმარების დროს, სადიდებელ ხსენებისას ანუ საგვარეულო დღესასწაულზე და სხვა თავყრილობების დროს.

რჯულის კანონის თანახმად (მიხედვით) შულლისგან თავს იკავებდნენ გარდაცვლილთან შეკრების დროს და გასვენების დღეს.

შულლი, როგორც წესი, წარმოიშობოდა ახალგაზრდა ხევსურებს შორის. 50 წელს გადაცილებულ პირებს შულლში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

სახლის პატრონი, გრძნობდა რა, რომ იწყებოდა შულლი, ყველას თვალწინ შემდეგი სიტყვებით შულლის დამწყებთ მიმართავდა: „მოსულო სტუმრებო, თქვენი ჭირიმეთ, ერთმანეთს ნუ აწყენინებთ, ნუ დაატეხთ უბედურებას ჩვენსა და თქვენს თავებს“. თუ ოჯახის პატრონი შეამჩნევდა, რომ სტუმართა გუნებ-განწყობა ძლიერ იძაბებოდა და ჩხუბი გარდუვალი იყო, იგი იხდიდა ქუდს და ხვეწნით მიმართავდა სტუმრებს: „მოსულ-მოწვეულებო, თანასოფლელებო, ბიძაშვილებო, ამ ქუდით გთხოვთ, რომ არ იშულლოთ, პატივი ეცით საკუთარ თავსაც და ჩვენსაც, ასევე ამ ტაბლას და ამ სასმელს“. ამ წესს ქუდით ხვეწნა ერქვა.

თუ სახლის პატრონს სურდა გაეძევა სახლიდან შულლის წამომწყები, მაშინ ან იგი თვითონ, ან რომელიმე მისი ბიძაშვილებთაგანი (წლოვანებით უფროსი), გაფრთხილების მიზნით, სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ნუ ზეზეურობთ, ვაჟებო! მძიმედ დასხედით!“ თუ ეს არ შველოდა, მაშინ სახლის პატრონი ცდილობდა სახლიდან გაეძევებინა ერთი ან ორივე შულლის წამომწყები. ეს ხდებოდა ძალიან იშვიათად და ეს ყველაფერი დიდი ხნის განმავლობაში [illegible] ხევსურეთში (В. Элашвили, Сатитени, Тб. 1960, გვ.6).

ორთაბრძოლა შეიძლება შეწყვეტილიყო უფროსთა ჩარევით, ანდა მოშულლეების მოლაპარაკებით, ანდა დაჭრილი მოშულლარის თხოვნით.

ხევსურეთში შულლი უნდა აიხსნას როგორც [illegible], რომელსაც მეომარი მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა (В. Элашвили, Сатитени, Тб. 1960, გვ.7).

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსთვის“.
(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელოს“ წინა ნომრებში

მსოფლიო საფეხბურთო სამყარო 2002 წლის ჩემპიონატის ფერხულში ჩაება. ტოკიოში წილისყრამ ეროვნული ნაკრები გუნდები შესარჩევ ჯგუფებში [illegible]

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

(პირველი გვერდიდან)

მოგვსდევს. ახლა სასწაული თუ გვიხსნის და ეს სასწაული უპირველესად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უნდა მოახდინოს, რომლის ვინაობა დღეს, 10 დეკემბერს გახდება ცნობილი.

გენტში „ევრო 2000"-ის წილისყრაზეც ჩვენი დელეგაცია ისევ კმაყოფილი დარჩა ფორტუნის წყალობით, როგორც ამჯერად ტოკიოში აღფრთოვანდნენ სფფ-ს ხელმძღვანელები. რა მოუაზრებელი და წინდაუხედავი გამოდგა ნაადრევი აღტაცება. ყველამ კარგად ვნახეთ. თუ ბრძენი ხალხი შეცდომებზე სწავლობს და ეს ჩვენც გვეხება, მაშინ ახლა ყველას მეტი სიდინჯე და თავდაჭერა გვმართებს. ნუ ვეცდებით დავარწმუნოთ საკუთარი თავი და სხვებიც, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით. ამის თქმის უფლება, სამწუხაროდ, სხვებს უფრო აქვთ ამ ჯგუფიდან, ვიდრე ჩვენ. მაინც რატომ გვგონია, რომ რუმინეთი, რომელთანაც ამ სამი წლის წინათ სტუმრად 0-5 წავაგეთ ამხანაგური მატჩი, უნგრეთი, თუნდაც ლიტვა (ნაკრებების დონეზე 1990 წელს ამხანაგური მატჩი ლიტველებთან თბილისში 2-2 დამთავრდა, სტუმრად კი 0-1 წავაგეთ) ასე ადვილად ხელწამოსაკრავები არიან ჩვენი მხრიდან, ხოლო იტალიასთან მუდამ კარგად გამოგვდის მეტოქეობა? ასეთი მსჯელობა გზას აგვაცდენს თუ ვიმეორებთ, შეცდომებზე არ ვისწავლით. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ იტალია და რუმინეთი ევროპის ჩემპიონატში აგრძელებენ მონაწილეობას.

წილისყრის შედეგებს ფინანსური მნიშვნელობაც აქვს — შეგხვდა ძლიერი გუნდები? შემოსავლები გარანტირებულია, ასეთი ძლიერი ნაკრებებისთვის ფიფა-უეფას მიერ საკმაოდ სოლიდური თანხებია დაწესებული. ყველაზე ძვირი გერმანიის თამაში ღირს, მაგრამ გერმანიას ამჯერადაც ავცდით. იტალიელთა გარდა, ჯგუფის სხვა გუნდების ტელეტრანსლაცია 15-15 ათასი აშშ დოლარზე მეტად არ ფასობს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ გერმანიის მატჩი, რომელთან შეხვედრის ალბათობა ძალიან დიდი იყო, 1 მილიონ 300 ათასი ღირს, იტალიისა — 400 ათასი. ახლა თავად განსაჯეთ ვისთვის რა სჯობდა...

„ევრო — 2000"-ის წილისყრა კიდევ ერთით ჰგავდა ახლანდელს. მაშინაც და ახლაც სფფ-ს ხელმძღვანელებმა თანაჯგუფელები დადგენილი ვადების ჩარჩოებში მატჩების კალენდარზე შესათანხმებლად თბილისში მოიწვია. არც მაშინ და არც ახლა, ჩვენი შეთავაზება ყურად არავინ იღო — არჩევანი ამჯერად შეჩერდა ბუქარესტ-ბუდაპეშტის ვარიანტზე და ალბათ ეს არჩევანი საბოლოო იქნება. შესარჩევი მატჩები რეგლამენტით უნდა გაიმართოს 2000 წლის 1 მარტიდან 2001 წლის ნოემბრამდე. ეს, საერთოდ. ევროპელებს კი თავიანთი ჩემპიონატი აქვთ ჩასამთავრებელი და, ცხადია, შესარჩევი მატჩები ამ კონტინენტზე გაიმართება გაისად უფრო მოგვიანებით, ალბათ, ადრე შემოდგომიდან.

ევროპა

I ჯგუფი
იუგოსლავია
რუსეთი
შვეიცარია
სლოვენია
ლუქსემბურგი
ფარერები

II ჯგუფი
პოლანდია
პორტუგალია
ირლანდია
კვიპროსი
ანდორა
ესტონეთი

III ჯგუფი
ჩეხეთი
დანია
ბულგარეთი
ისლანდია
ჩრ. ირლანდია
მალტა

IV ჯგუფი
შვედეთი
თურქეთი
სლოვაკეთი
მაკედონია
აზერბაიჯანი
მოლდოვა

V ჯგუფი
ნორვეგია
უკრაინა
პოლონეთი
უელსი
სომხეთი
ბელარუსი

VI ჯგუფი
ბელგია
შოტლანდია
ხორვატია
ლატვია
სან მარინო

VII ჯგუფი
ესპანეთი
ავსტრია
ისრაელი
ბოსნია
ლიხტენშტეინი

VIII ჯგუფი
რუმინეთი
იტალია
ლიტვა
უნგრეთი
საქართველო

IX ჯგუფი
გერმანია
ინგლისი
საბერძნეთი
ფინეთი
ალბანეთი

ჯგუფებიდან თითო გამარჯვებული ავტომატურად ხვდება ფინალურ ეტაპზე. 9 მეორეადგილოსნიდან, 8 ფლეი-ოფს გაითამაშებს და 4 გამარჯვებული ფინალის საგზურს მოიპოვებს. ყველაზე უარესი შედეგის მეორეადგილოსანი დამატებით მატჩში შეხვდება აზიის ზონაში მესამე ადგილზე გასულ გუნდს და ფლეი-ოფი ფინალური ეტაპის კიდევ ერთ მონაწილეს გამოავლენს.

აზია

I ჯგუფი
ომანი
სირია
ლაოსი
ფილიპინები

II ჯგუფი
ირანი
ტაჯიკეთი
მიანმარი
გუამი

III ჯგუფი
ყატარი
მალაიზია
ჰონგკონგი
პალესტინა

IV ჯგუფი
ქუვეითი
სინგაპური
ბაჰრეინი
ყირგიზეთი

V ჯგუფი
ტაილანდი
ლიბანი
შრი ლანკა
პაკისტანი

VI ჯგუფი
ერაყი
ყაზახეთი
ნეპალი
მაკაო

VII ჯგუფი
უზბეკეთი
იორდანია
თურქმენეთი
ტაივანი

VIII ჯგუფი
არაბეთის საემ.
ინდოეთი
იემენი
ბრუნეი

IX ჯგუფი
ჩინეთი
ინდონეზია
მალდივის კ-ბი
კამბოჯა

X ჯგუფი
საუდის არაბეთი
ვიეტნამი
ბანგლადეში
მონღოლეთი

ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები ორ 5-გუნდიან ჯგუფს შექმნიან. პირველ ადგილზე გასულნი ავტომატურად ხვდებიან ფინალურ ეტაპზე. მეორეადგილოსნები ფლეი-ოფში ითამაშებენ. ამ წყილში გამარჯვებული ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში ყველაზე უარესი შედეგის მქონე ნაკრებს შეხვდება და ფინალური ეტაპის მონაწილეც ასე გაირკვევა.

სამხ. ამერიკა

არგენტინა
ბოლივია
ბრაზილია
ჩილე
კოლუმბია
ეკვადორი
პარაგვაი
პერუ
ურუგვაი
ვენესუელა

10 ნაკრები ერთმანეთს მიმოსვლითი სისტემით ეთამაშება. გუნდები, რომლებიც I-IV ადგილებს დაიკავებენ, ავტომატურად მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე. ხოლო V ადგილზე გასული გუნდი ფლეი-ოფში შეხვდება ოკეანიის ჯგუფში გამარჯვებულს. ამ წყილში მოგებული კორეა-იაპონიის საგზურს მოიპოვებს.

აფრიკა

კაბო ვერდე – ალჟირი
მავრიტანია – ტუნისი
ბენინი – სენეგალი
გვინეა ბისაუ – ტოგო
გამბია – მაროკო
ლესოტო – სამხ. აფრიკა
სვაზილენდი – ანგოლა
ბოტსვანა – ზამბია
მადაგადასკარი – გაბონი
სუდანი – მოზამბიკი
ეკვ. გვინეა – კონგო
ლიბია – მალი
რუანდა – კოტ დ'ივუარი
სან ტომე – სიერა ლეონე
ცენტ. აფრ. რესპ. – ზიმბაბვე
სეიშელი – ნამიბია
ჯიბუტი – კონგოს დემ. რესპ.
სომალი – კამერუნი
მავრიკეთი – ეგვიპტე
ერითრია – ნიგერია
ჩადი – ლიბერია
უგანდა – გვინეა
ეთიოპია – ბურკინა ფასო
მალავი – კენია
ტანზანია – განა

გუნდები ერთმანეთს ოლიმპიური სისტემით, შინ და გარეთ შეხვდებიან. გამარჯვებულები შექმნიან 5 ჯგუფს (თითოეულში 5 გუნდი). პირველ ადგილზე გასულნი ავტომატურად მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე.

კონკაკაფი
ცენტრალური ამერიკის ზონა

A ჯგუფი
სალვადორი
ბელიზი
გვატემალა

B ჯგუფი
ჰონდურასი
ნიკარაგუა
პანამა

კარიბის ზონა

I ჯგუფი
კუბა – კაიმანის კ-ბი
სენტ-ლუსია – სურინამი
არუბა – პუერტო რიკო
ბარბადოსი – გრენადა

II ჯგუფი
სენტ ვინსენტი – ვირჯინიის კ-ბი (აშშ)
სენტ კიტსი – კაიკოს კ-ბი
გუიანა – ანტიგუა
ვირჯინიის კ-ბი (ინგ). ბერმუდა

III ჯგუფი
ტრინიდადი – ანტილიები (ჰოლ)
დომინიკა – მონსერატი
დომინიკის რესპ. – ჰაიტი
ანგულია – ბაჰამის კ-ბი

ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზონაში A და B ჯგუფებში გამარჯვებულები შეუერთდებიან ნახევარფინალურ ეტაპზე, რომელშიც 12 გუნდი იასპარეზებს. ჯგუფებში მეორე ადგილზე გასულები ფლეი-ოფში შეხვდებიან კარიბის ზონის ჯგუფებში II და III ადგილზე გასულ გუნდებს. მომდევნო ეტაპზე, ბრძოლა სამრაუნდიანი გამოთიშვითი სისტემით წარიმართება. ამავე დროს, კარიბის ზონაში, თითოეულ ჯგუფში გამარჯვებული ავტომატურად მოხვდება ნახევარფინალურ რაუნდში. აგრეთვე პირველ ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდი ნახევარფინალურ რაუნდში კანადის ნაკრებს შეხვდება, ხოლო დანარჩენი ორი მეორეადგილოსანი ნახევარფინალურ რაუნდში ცენტრალური ამერიკის ზონის გამარჯვ[illegible] ეთამაშება. კოსტა-რ[illegible], იამაიკა, მექსიკა და აშშ ნახევარფინალში ავტომატურად არიან დაშვებულნი. საბოლოოდ, ნახევარფინალში გასული 12 გუნდი სამ 4-გუნდიან ჯგუფად დაიყოფა. თითოეულ ჯგუფში I, II ადგილზე გასული ნაკრებები (სულ 6 გუნდი) ფლეი-ოფის გზით გაარკვევენ ფინალური ეტაპის სამ მონაწილეს.

ოკეანეთი

I ჯგუფი
ავსტრალია
ტონგა
ფიჯი
ამერიკ.სამოა
სამოა

II ჯგუფი
ახ. ზელანდია
ტაიტი
სოლომონის კ-ბი
ვანუატუ
კუკის კ-ბი

ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს შინ და გარეთ ფლეი-ოფში შეხვდებიან. ამ წყვილის გამარჯვებული კი გადამწყვეტ მატჩში სამხრეთ ამერიკის ზონაში მე-5 ადგილზე გასულ გუნდს ეთამაშება და ფინალური ეტაპის მონაწილეც გაირკვევა.

გი რუ – „საპატიო ლეგიონის" კავალერი

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა „საპატიო ლეგიონის" ორდენი გადასცა „ოსერის" მწვრთნელ გი რუს.

დაჯილდოებაზე პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეტად იშვიათია რომელიმე კლუბის ბედი ამდენ ხანს ერთ მწვრთნელს უკავშირდებოდეს. გავიხსენოთ, რომ გი რუ „ოსერს" 1961 წელს ჩაუდგა სათავეში და დღემდე მისი მთავარი მწვრთნელია.

ჟაკ შირაკმა ორდენი „ღამსახურებისათვის" გადასცა წარსულში ფეხბურთის ცნობილ არბიტრს მიშელ ვოტროს, რომელსაც 300-ზე მეტი საერთაშორისო მატჩი აქვს ჩატარებული.

მწვრთნელი 20 დეკემბერს დაინიშნება

— ძალიან გადავიღალე, დასვენება მჭირდება და ამიტომაც შევიტანე განცხადება გადადგომის შესახებ, — განაცხადა იოჟეფ საბომ, — ჩემს შემცვლელს ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ, დეე, ჩემზე უკეთეს შედეგებს მიაღწიოს.

როგორც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვიქტორ ბანიკოვმა განაცხადა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი 20 დეკემბერს დაინიშნება. პრეტენდენტებად ასახელებენ ლეონიდ ბურიაკს, ალექსეი მიხაილიჩენკოს და ოლეგ ბლოხინს.



ფეხბურთში ჭაბუკთა შორის საქართველოს 1999-2000 წლების ჩემპიონატი გივი ჩოხელის პრიზზე, 1982-1983 წლებში დაბადებულთათვის

I ეტაპი ● აღმოსავლეთის ზონა ● „ა" ჯგუფი

№	გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	ბ.	ქ.	ადგ.
1.	შევარდენი-1906		4-5	1-2	1-0	0-2	9-1	2-2	3-1	W-0	0-1	23-14	12+3	5
2.	35 სკ.-1	5-40		1-3	0-W	0-W	0-W	9-1	1-2	3-1	1-2	მოიხსნა		0
3.	მთ. გლობუსი-1	2-1	3-1		1-1	2-1	4-0	2-0	2-1	2-1	1-1	19-7	2-3	1
4.	კავკასიონი (თბ.)	0-1	W-0	1-1		5-1	1-1	1-1	2-3	1-1	2-4	16-13	10	7
5.	თელავი	2-0	W-0	1-2	1-5		7-1	3-0	1-6	1-2	0-7	19-19	12	4
6.	გეორგია	1-9	W-0	0-4	1-1	1-7		1-1	1-2	3-2	2-7	13-33	6	8
7.	საგარეჯო	2-2	1-9	0-2	1-1	0-3	1-1		0-3	1-1	0-3	6-25	4+[illegible]	9
8.	მამული-1	1-3	2-1	1-2	3-2	6-1	2-1	3-0		0-2	0-3	18-15	15	3
9.	დინამო-83	0-W	1-3	1-2	1-1	2-1	2-3	1-1	2-0		4-1	14-15	11+3	6
10.	ხალიბი	1-0	2-1	1-1	4-2	7-0	7-2	3-0	3-0	1-4		29-10	22	2

ჩემპიონთა ლიგა
II ტური

A ჯგუფი

ბარსელონა — სპარტა 5-0
გოლები: კლუივერტი (44, 63), ლუის ენრიკე (45, 76), გვარდიოლა (60).
გააძევეს: ჰაშეკი (38. სპარტა).
პორტუ — ჰერტა 1-0.
გოლი: დრულოვიჩი (79).
გააძევეს: პაულინიუ სანტუში (89).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუ	2	2	0	0	3-0	6
ბარსელონა	2	1	1	0	6-1	4
ჰერტა	2	0	1	1	1-2	1
სპარტა	2	0	0	2	0-7	0

B ჯგუფი

მანჩესტერი — ვალენსია 3-0.
გოლები: კინი (38), სოლსკიაერი (47), სქოულზი (69).
ბორდო — ფიორენტინა 0-0.

ფიორენტინა	2	1	1	0	2-0	4
მანჩესტერი	2	1	0	1	3-2	3
ვალენსია	2	1	0	1	3-3	3
ბორდო	2	0	1	1	0-3	1

C ჯგუფი

რეალი — რუსენბორგი 3-1.
გოლები: 1-0 რაული (17), 1-1 კარეუ (47), 2-1 სავიო (85), 3-1 რობერტო კარლოსი (90).
ბაიერნი — დინამო (კიევი) 2-1
გოლები: 1-0 იანკერი (7), 1-1 რებროვი (50), 2-1 პაულუ სერჟიო (80).

რეალი	2	2	0	0	5-2	6
ბაიერნი	2	1	1	0	3-2	4
რუსენბორგი	2	0	1	1	2-4	1
დინამო (კიევი)	2	0	0	2	2-4	0

D ჯგუფი

ლაციო — ჩელსი 0-0
ფეიენოორდი — ოლიმპიკი 3-0
გოლები: კრუზი (72, 90), ბოსველტი (83).
გააძევეს: ვან ვონდერენი (7, ფეიენოორდი), ფიშერი (64, ოლიმპიკი), პერესი (80, ოლიმპიკი).

ჩელსი	2	1	1	0	3-1	4
ლაციო	2	1	1	0	2-0	4
ფეიენოორდი	2	1	0	1	4-3	3
ოლიმპიკი	2	0	0	2	0-5	0

აბობოქრებული „მანიუ" და შერცხვენილი „პიოხო"

ჩემპიონთა ლიგის II ტურის მიმოხილვა

წლევანდელი ევროტურნირების ბატალიებს წერტილი დაესვა და გაზაფხულამდე მოცდა მოგვიწევს. მოიცდიან კლუბებიც, რომლებიც ამ ორთვიან პერიოდში ქვეყნის შიდა ჩემპიონატზე უფრო გადაიტანენ აქცენტს.

წინა ტურის მიმოხილვისას არგენტინელი ლეგიონერები ვაქეთ, მაგრამ ამ შეხვედრებში მათ, ცოტა არ იყოს, იმედი გაგვიცრუეს. მარადონას მემკვიდრეებიდან მხოლოდ „ფეიენოორდის" ხულიო კრუზს გამოვყოფდით. მან საშინელ დღეში ჩააგდო მარსელის „ოლიმპიკის" მცველები და ორი გატანილი გოლით მატჩის გმირი გახდა. ფრანგული კლუბი დიდ რეგრესს განიცდის, აბა, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ისინი 60 წუთს რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ და ერთი ხეირიანი შეტევაც კი ვერ განახორციელეს. მათი მცველების ფიშერის და პერესის გაძევებამ კი სულ მთლად მოშალა გუნდი.

ამავე ჯგუფის ფავორიტებმა რომში ქულები გაიყვეს. „ლაციომაც" და „ჩელსიმაც" იმდენად უსახურად და ფრთხილად ითამაშეს, რომ საცოდაობა ის იქნებოდა, გოლი რომ გასულიყო. არადა, ამის რეალური შანსი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ ძოლას ჩახვეული ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა მცველმა. სხვა მხრივ, თვალსასეირო კი ლონდონელთა იტალიელი მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის გაძევება იყო, რაც მან მსაჯის შეურაცხყოფის გამო დაიმსახურა. საერთო აზრით, „ლაციოს" და „ჩელსის" ჯგუფიდან გასვლის პრობლემა არ უნდა გაუჩნდეთ, მაგრამ...

C ჯგუფის ფავორიტებმა საშინაო მატჩები ძლივს მოიგეს. „რეალი" ქვეყნის პრიმერდივიზიონში სირცხვილს სირცხვილზე ჭამს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მის გამოსვლას ცუდს ვერ ვუწოდებთ. კვლავ საუკეთესო იყო გუნდში სავიო, რომელმაც მსაჯის სასტვენამდე 5 წუთით ადრე ინდივიდუალურად მოახერხა მატჩის ბედის გადაწყვეტა. ასევე ბრაზილიელის (პაულუ სერჟიო) წყალობით გაიმარჯვა „ბაიერნმაც", რომელმაც კვლავ არადამაჯერებელი თამაში აჩვენა, მაგრამ ვერც კიეველები არიან ჩვეულ ფორმაში. მათმა გოლკიპერმა შოვკოვსკიმ კი მორიგი უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც იანკერმა დებიუტშივე ისარგებლა. მიუხედავად ამისა, კახი კალაძე და მისი თანაგუნდელები მაინც შეეცდებიან (როგორც სჩვევიათ) დაკარგულის აღმოფხვრას.

ტურის გამორჩეული მატჩი „ოლდ ტრაფორდზე" შედგა. ფლორენციაში მარცხნაწვნეემა მანჩესტერელებმა ლიგაში დაუმარცხებელი „ვალენსია" მიიღეს და მშრალზე გაუშვეს შინ. „მანიუმ" დიდებულად ითამაშა და სტუმართა მრისხანე ფორვარდი კლაუდიო ლოპესიც იმ დღეს თავის აჩრდილსლა ჰგავდა. „ვალენსიის" რიგებიდან მხოლოდ ფრანგი ჟოსელინ ანგლომა გამოირჩეოდა, რომელსაც მთლიანად ხელთ ეპყრა მარჯვენა ფრთა, მაგრამ მხარი ვერავინ აუბა.

სასურველ შედეგს მიაღწია „ფიორენტინამ", რომელიც ჟირონდელებს ბატისტუტას და კოისის გარეშე ესტუმრა. კვლავ დიდებული იყო მათი კარის დარაჯი ტოლდო, სასწაულებრივი ბურთები მოიგერია. ჩვენი აზრით, ამ ჯგუფში დიდი ბრძოლა იქნება I-II ადგილებისთვის.

A ჯგუფის (და საერთოდ, ლიგის) ფავორიტმა „ბარსელონამ" პირდაპირ წალეკა ჩეხეთის ჩემპიონი და თამაშიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლებოდა ორნიშნა ანგარიშითაც გაემარჯვა, თუმცა, „სპარტაზე" დიდად იმოქმედა ჰაშეკის პირველ ტაიმშივე გაძევებამაც. ჯგუფის მეორე მატჩში „პორტუს" დიდი უპირატესობა ჰქონდა „ჰერტასთან". უნგრელი მეკარე გაბორ კირალი კლდესავით იდგა, თუმცა დრულოვიჩის 70-მეტრიანი სწრაფი რეიდის შემდეგ მანაც „თეთრი პირსახოცი" გადმოაგდო. ჯერჯერობით აშკარად ჩანს, რომ „ბარსა" და „პორტუ" ჯგუფიდან გავლენ, მაგრამ, ვინ იცის...

მაშ ასე, დაველოდოთ გაზაფხულს, რომელიც ძალზე საინტერესო მატჩებს გვპირდება.

ილია ნანობაშვილი

სოლსკიაიერი ვალენსიელთა კარში გოლის გატანას ზეიმობს...

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

არნახული რამ – „რეალი" აუტსაიდერთა შორის

ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ხუთ უმთავრეს ევროპულ ჩემპიონატს შორის (იტალიის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის პირველობები) ყველაზე მეტი მოულოდნელობა ესპანეთში ხდება. თუმცა მოულოდნელობაც არის და მოულოდნელობაც. ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი და ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი სახელის მქონე საკლუბო გუნდი მადრიდის „რეალი", წმინდა წყლის აუტსაიდერი გახდებოდა. მას დღეისათვის 20 მონაწილეს შორის არნახულად დაბალი, მეჩვიდმეტე ადგილი უკავია. შეიძლება ვინმემ შენიშნოს, რომ 14 შეხვედრაში მადრიდელ მილიონერებს სულ 4 წაგება აქვთ, მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე მყოფი, პატარა ქალაქ ვიგოს „სელტა" უკვე ხუთჯერ დამარცხდა. დიახ, ასეა, მაგრამ „რეალმა" როგორღაც „მოახერხა" 7 შეხვედრის ფრედ დამთავრება, მაშინ, როდესაც „სელტას" ცხრილის ამ გრაფაში ამჟამ 0 აქვს.

«რეალი» — «ოვიედო»

მაინც რა ხდება მადრიდის „რეალში", რამ გამოიწვია ამ გუნდის შედეგების არნახული დაქვეითება? მიმომხილველები ბევრ მიზეზს ასახელებენ: კლუბს წლეულს ძალიან უხეიროდ ხელმძღვანელობდა უელსელი ჯონ ტოშაკი, „რეალში" რამდენიმე დაჯგუფება წარმოიშვა: რაული და მისი მეგობრები აშკარად ემტერებიან თავიანთ ფერადკანიან თანაგუნდელებს, ყველამ ერთად აითვალწუნა „არსენალიდან" გადმოსული ნიკოლა ანელკა, ძალიან მოიკოჭლებს დისციპლინა, მოთამაშეთა მორალური დონე ნოლს უახლოვდება, წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფი დაშავებულია და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

როცა XII ტურში „რეალმა" საკუთარ „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ფრედ — 1-1 ითამაშა „რეალ სოსიედადთან", ეს კიდევ არაფერი. მადრიდელთა ქომაგმა ჟურნალისტებმა მყისვე გაიხსენეს, რომ არც ერთ გუნდს, რომელსაც კი ხავიერ კლემენტე ხელმძღვანელობდა, მადრიდში „რეალი" არასოდეს დაუმარცხებია და ბასკთა ამ კოლექტივს რატომ უნდა მოეგო? ანელკამ თითქმის მატჩის ბოლომდე ითამაშა და საერთოდ არაფერი გაუკეთებია. ზოგი მიმომხილველი ფრანგის ახლანდელ მდგომარეობას „საფეხბურთო კომას" უწოდებს და, ვინ იცის, იქნებ მართალნიც არიან. ამას მომდევნო ტურში სტუმრად ძლიერ, სწრაფ და არაჩვეულებრივ მობილურ „სელტასთან" დამარცხება მოჰყვა, მაგრამ რაც 5 დეკემბერს მადრიდში „სარაგოსასთან" მოხდა, ეს პირდაპირ დაუჯერებლად მოსჩანდა. „რეალი" შინ დამარცხდა ანგარიშით 1-5, კლუბის პრეზიდენტი ლორენსო სანსი, რომელსაც „სამეფო გუნდის" გულშემატკივრები №1 მტრად მიიჩნევენ, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ავად გახდა და სტადიონიდან წავიდა. მომდევნო XV ტურში „რეალი" სანტანდერში საკმაოდ მობილურ „რასინგთან" ითამაშებს, სადაც დიდი წარმატებით გამოდის ალექსანდრ მოსტოვოი. თუ ეს შეხვედრაც წააგო...

XIV ტურის შემდეგ ლა-კორუნიას „დეპორტივო" მტკიცედ ლიდერობს 30 ქულით. გალისიური კლუბის წარმატება მაინცდამაინც არავის უკვირს — იგი წინა ჩემპიონატშიც კარგად თამაშობდა. კლუბში უკვე კარგა ხანია ჩინებულად მუშაობს ხავიერ ირურეტა. საიმედოდ თამაშობს კამერუნელი მეკარე სონგო'ო, საუკეთესოდ მოქმედებს ჯალმინია — პაულეტას წყვილი. კვირას, 12 დეკემბერს ლიდერი ითამაშებს სან-სებასტიანში „რეალ-სოსიედადთან". ხავიერ კლემენტეს თავის გამოჩენის შესაძლებლობა ეძლევა.

ვიგოს „სელტა", რომელსაც ვიქტორ ფერნანდესი წვრთნის, ბოლო ტურში „ნუმანსიასთან" 1-3 დამარცხების მიუხედავად 27 ქულით მეორე ადგილზეა. აქ აღნიშნავენ მოსტოვოისა და კარპინის რუსულ წყვილს, შესანიშნავ ფრანგ მეკარეს დიუტრუელს. ექსპერტებს უკვირთ კიდეც, რატომ არ იწვევენ ასეთ მეტად საიმედო გოლკიპერს საფრანგეთის ნაკრებში. „სარაგოსა" 25 ქულით მესამეა. მისი შედეგი კიდევ უკეთესი იქნებოდა, XII ტურში რომ არ წაეგო სევილიის „ბეტისთან".

ჩემპიონ „ბარსელონას" ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგში არა აქვს — მეოთხე ადგილს 23 ქულით მას საკმაოდ მარცხიან შედეგად უთვლიან. ბოლო ტურების შეხვედრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა გასულითი მატჩი „ვალენსიასთან", რომელიც კარგა ხანია სისტემატურად ამწარებს კატალონიურ კლუბს. გამონაკლისი არც ახლა ყოფილა. ლუის ვან გაალმა მინდორზე „აიაქსურ-ჰოლანდიური" შემადგენლობა გამოიყვანა — 8 ჰოლანდიელიდან, რომელიც „ბარსელონაში" ირიცხება, ამ დღეს არ თამაშობდა მხოლოდ ბოგარდი. ჩემპიონი, როგორც ყოველთვის, ბევრს უტევდა, „ვალენსია" კი თამაშს კონტრიერიშებზე აგებდა და საბოლოო ანგარიშით, მეტ წარმატებას მიაღწია და მოიგო — 2-1. „ვალენსიას" შემადგენლობაში ორი ლოპესი თამაშობდა: კლაუდიო და ჰერარდი. ორივემ გოლი გაიტანა. „ბარსელონას" „მთავარი ტერორისტისათვის" — განთქმულ არგენტინელ კლაუდიო ლოპესის ეს მორიგი გოლი იყო ჩემპიონის ჰოლანდიელ მეკარე რუუდ ჰესპის კარში. რაც შეეხება „ვალენსიის" დღევანდელ სატურნირო მდგომარეობას, იგი კატასტროფული სტარტის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა — მას 18 ქულით მეათე ადგილი უკავია. არგენტინელი მწვრთნელი ჰექტორ კუპერი, რომელიც კლუბს სათავეში ზაფხულიდან ჩაუდგა, საპრიზო ადგილის იმედს არა კარგავს, მით უმეტეს, რომ ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსია" ჩინებულად გამოდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათან უარესდება ჩემპიონატის დებიუტანტის, მადრიდის კლუბ „რაიო ვალეკანოს" მდგომარეობა, თუმცა მას ახლაც თავისთვის მეტად საპატიო მეხუთე ადგილი უკავია 22 ქულით. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ რამდენიმე ტურის წინ „რაიო ვალეკანო" კიდევაც ლიდერობდა, მიმომხილველების აზრით, სრულიად შემთხვევით მოვლენად ჩაითვალა. იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ვერა და ვერ ასწორებს მდგომარეობას მადრიდის „ატლეტიკოში" (17 ქულა).

კვირას, 12 დეკემბერს მორიგი XV ტურია, რომლის ზოგიერთ შეხვედრაზე უკვე ითქვა. „ბარსელონა" სტუმრად თამაშობს უიმედო აუტსაიდერ „სევილიასთან", 10 ქულით ბოლო ადგილზეა და მოგება არ უნდა გაუჭირდეს. მადრიდის „ატლეტიკო" „ვალენსიას" მიიღებს. ამ შეხვედრაში მეტად მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. „სელტა" შინ თამაშობს მეშვიდე ადგილზე მყოფ ბილბაოს „ატლეტიკთან", „სარაგოსა" კი — ასევე შინ სახიფათო დებიუტანტ „ნუმანსიასთან", რომელმაც წინა ტურში მძიმე მარცხი აგემა „სელტას".

ესპანეთის ჩემპიონატში, როგორც ყოველთვის, მეტად უკომპრომისო ბრძოლაა. ახლა დიდი ინტერესით ელიან ლიდერების „დეპორტივოსა" და „სელტას" შეხვედრას, რომელიც სულ მალე, 19 დეკემბერს უნდა გაიმართოს.

ბიჭი ბამრეკელი

ტურე ფლორესი ბურთს „ათვინიერებს"...

«ხიფათის დევალვაცია არ გვარგებს»

ასე თვლის მოსკოვის ყოველკვირეული „ფუტბოლი". მისი მიმომხილველის აზრით, რუსი ჟურნალისტები, რათა სპორტსმენებს თავიანთი ძალების რწმენა განუმტკიცონ, შეგნებულად ამცირებენ მეტოქეთა ძალას, აცხადებენ, რომ მათი დამარცხება საკმაოდ იოლია. ეს მეტად მცდარი ტაქტიკაა. უცხოელები სულ სხვანაირად იქცევიან. ამას წინათ, როცა იტალიის ნაკრებს მინსკში ბელორუსებთან უნდა ეთამაშა, იტალიის პრესა თავის მოკრძალებულ მეტოქეზე ისეთი ტონით წერდა, თითქოს იგი რაღაცა „ვუნდერკინდი" ყოფილიყოს, ეგ არის, რომ პელე აკლიაო. ასეა ყოველთვის საზღვარგარეთ, პრესა თავის გუნდს მეტად სერიოზული ბრძოლისათვის განაწყობს.

ლეგენდა

გივი გამრეკელი

გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები"



„როგორ შეიძლება აქ თამაში?"

როცა 1980 წელს მარადონა სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელად აღიარეს, მას და სახელოვან დი სტეფანოს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:



დი სტეფანო

დი სტეფანო: შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით აშკარად დავაჟკაცდი, შენი თამაში დაიხვეწა. შენ სტატიკურად აღარ მოქმედებ, საკუთარი სტილი ჩამოგიყალიბდა. მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ შენი ტალანტით, უპირველეს ყოვლისა, გუნდს უნდა ემსახურო, ინდივიდუალური თამაში ნუ გაგიტაცებს.

მარადონა: როგორ მოახერხეთ, რომ 20-წლიანი კარიერის მანძილზე ასე იღბლიანად აიცილეთ ტრავმები?

დი სტეფანო: ეს უფრო იმით უნდა აიხსნას, რომ სისწრაფით ვჯობდი მეტოქეებს, რომელთაც ჩემი დაშავება სურდათ. შენ კი შედარებით ცოტა ხანია თამაშობ და უკვე ამდენი ტრავმა გქონდა. მე გრძელ გადაცემებსა და სპრინტს ვამჯობინებდი, შენ კი — ბურთისთვის ხანგრძლივად კონტროლის გაწევას.

მარადონა: ისევე, როგორც პელე?

დი სტეფანო: პელეს მიბაძვა შენი საქმე არ არის, მსოფლიო ჩემპიონის სამი ოქროს მედლისა და ათასი გოლის გარდა, მას ხომ უთვალავი ტრავმაც ჰქონდა. პელეს მიბაძვით, მერწმუნე, ვერაფერს მოიგებ.

არგენტინელებმა მენოტის ხელმძღვანელობით დაიწყეს ხანგრძლივი მზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც 1982 წელს ესპანეთში ტარდებოდა. ერთი შეკრება მეორეს მისდევდა. მენოტიმ ხომ მტკიცედ აღუთქვა არგენტინის მთავრობას, რომ გუნდი მსოფლიო ჩემპიონობას შეინარჩუნებდა და აი, მოულოდნელად მარადონას ნერვებმა უმტყუნა. მას უკვე ყველაფერი [illegible] თავებელი [illegible] მოგზაურობა და საკონტროლო მატჩები, უცერემონიო ჟურნალისტები, გულშემატკივრებიც კი, რომლებიც [illegible] დასდევდნენ და ავტოგრაფს სთხოვდნენ.

— ამას ცხოვრება ჰქვია! ვიტრინაში გამოფენილ ექსპონატს ვგავარ, ყველაფერი შემეზიზღა, რაც ფეხბურთთან არის დაკავშირებული. ერთი სული მაქვს, ოჯახს დავუბრუნდე, ანდა, ჩემს მეგობარ კლაუდიას (მომავალ მეუღლეს) შევხვდე.

მარადონამ ერთი ვარჯიში გააცდინა, მეორე, და... ეროვნული ნაკრებიდან გარიცხეს. გუნდის ცნობილმა მცველმა გალიეგომ თქვა:

— არა, მარადონა ნამდვილი პროფესიონალი არ არის. წარმატებებმა ჭაბუკს თავბრუ დაასხა, განდიდების მანია არ გაუჩნდეს. ეს დეპრესია არ არის, ჭირვეულობაა.

ნაკრების კაპიტანი პასარელა, მადლობა ღმერთს, სხვანაირად ფიქრობდა. მან მარადონას „ღია ბარათით" მიმართა: „თუ შენ ნამდვილი ვაჟკაცი და პატრიოტი ხარ, დაბრუნდი, არგენტინას სჭირდები". პელე რა შუაში იყო და მანაც გამოაგზავნა დეპეშა: „სირცხვილია, ბიჭო!".

მენოტიზე ამბობდნენ, ჯერ სრულიად საიდუმლო გეგმა შეადგინა „მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში — მარადონას გარეშე", მაგრამ შემდეგ გადაიფიქრაო.

— არა, ამას აჯანყება არა ჰქვია! დიეგო არ გვეომება! უბრალოდ, ვერ გაუძლო საზოგადოებრიობისა და პრესის ესოდენ ძლიერ დაწოლას, დარწმუნებული იყავით, მალე დაძლევს დეპრესიას და დაგვიბრუნდებაო.

დასაწყისი იხ. „ლელო" №95

„ცივი ომი" მარადონასა და მენოტის შორის დამთავრდა.

დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატში მარადონასთვის (169 სმ, 68 კგ.) ძლიერ წარუმატებელი გამოდგა. აქ, ეტყობა, ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა: კინკლაობაში გატარებულმა მოსამზადებელმა პერიოდმა, მცირე თუ სერიოზულმა ტრავმებმა, მეტად უხეშმა თამაშმა, ჟურნალისტებისა თუ გულშემატკივრების ერთი ნაწილის მტრულმა დამოკიდებულებამ. „პელეს ადარებენ! სირცხვილი არ არის?! — გაოცებული ამბობდა ბრაზილიის ნაკრების მოთამაშე ტონინიო. „სად კემპესი და სად მარადონა" — აშკარად ამჯობინებდა ვეტერანს ზოგი არგენტინელი ჟურნალისტი, თუმცა კემპესი ესპანეთში უწინდელის აჩრდილიღა იყო. მარადონა გაცილებით უფრო სუსტად თამაშობდა ვიდრე მისგან ელოდნენ. ბოლო მატჩში ბრაზილიელებთან მინდორიც კი დაატოვებინეს, რადგან ამდენი უხეშობა ვერ მოითმინა და მეტოქეს უხეშობითვე უპასუხა. არგენტინელებს, გასაგებია, ჩემპიონის წოდების დათმობა მოუხდათ. პელე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ წერდა:

— მარადონა, რა თქმა უნდა, მეტისმეტად ნიჭიერია, მაგრამ ესპანეთში არაფერი გამოუდიოდა. ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი ჯენტილეს „რკინის კლანჭებს".

ეს, რა თქმა უნდა, ასე იყო. მაგრამ მარადონას გულშემატკივრები დარწმუნებული იყვნენ, რომ მარცხს დროებითი ხასიათი ჰქონდა — დღეს თუ ხვალ „ოქროს ბიჭი" თავისას იტყოდა. ისინი მართალნი აღმოჩნდნენ, თუმცა კიდევ რამდენიმე წელს მოუხდათ ცდა.

1982 წელს „ბარსელონამ" მარადონას კლუბ „ბოკა ხუნიორსს" 10 მილიონი დოლარი შესთავაზა. ფეხბურთის სამყაროში ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია — ასეთი თანხა ხომ მანამდე არც ერთი მოთამაშისათვის არ გადაუხდიათ. დასავლეთგერმანულმა პრესამ „ბარსელონას" მსოფლიოში ყველაზე უფრო გულუხვი და ხელგაშლილი კლუბი უწოდა. ესპანეთის ფინანსთა მინისტრმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება და კატალონიელებს ემბარგოთი დაემუქრა. სპორტის საქმეთა მდივანმა დიპლომატიურად აღნიშნა, რომ ამ თანხით ფეხბურთის 70 სტადიონის აშენება შეიძლებოდა. ცნობილია, რომ ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი მადრიდის „რეალის" გულშემატკივარია და, ამდენად, „ბარსელონა" მაინცდამაინც არ ეპიტნავება. შეიძლება, მთავრობის წარმომადგენლები სწორედ მის აზრს გამოხატავდნენ. მაგრამ „ბარსელონას" მესვეურებს წარბიც არ შეტოკებიათ — ბოლოს და ბოლოს ფული მათი იყო, ვისაც უნდოდათ, იმას მისცემდნენ. ასე აღმოჩნდა „ოქროს ბიჭი" თავის მესამე პროფესიულ კლუბში, სადაც, როგორც მალე გამოირკვა, დიდი იმედის გაცრუება ელოდა. ჩამოსვლისთანავე, შესაძლოა, ალფრედო დი სტეფანოს (იმხანად „ვალენსიის" მწვრთნელი იყო) სიტყვებმაც „დათარსეს": „მარადონა, რა თქმა უნდა, ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ მე უფრო კემპესი მომწონს". როცა ამას ამბობდა, დი სტეფანოს მშვენივრად ესმოდა, რომ მარიო კემპესი უწინდელი სიძლიერით ველარ ითამაშებდა.

მარადონას კარიერა „ბარსელონაში", რბილად რომ ვთქვათ, წარუმატებლად დაიწყო. იგი ვერაფრით ვერ ეგუებოდა მკაცრ პერსონალურ მეურვეობას, აშკარა უხეშობას, რომელსაც იმ წლებში მსაჯები ჯეროვნად არ ებრძოდნენ, სანამ 1982-83 წლების ჩემპიონატი დაიწყებოდა, გუნდები საკონტროლო მატჩებს ატარებდნენ, ტრადიციულ „ოთხთა ტურნირებში" მონაწილეობდნენ და აი, ერთ-ერთი ასეთი ამხანაგური შეხვედრაში მარადონამ, რომელსაც ძალიან უხეშად ეთამაშებოდნენ, თვითნებურად დატოვა მინდორი, რასაც გაოცებული მაყურებლების სტვენა და შეურაცხმყოფელი შეძახილები მოჰყვა. რაც არ უნდა ვთქვათ, ფეხბურთელის ასეთი საქციელი ძლიერ უჩვეულო იყო.

ჩემპიონატის პირველივე შეხვედრა „ბარსელონამ" წააგო, მარადონა კი თამაშის პროცესში გამოცვალეს. კატალონიის უძლიერესი კლუბის გულშემატკივრები, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ, რამდენს უხდიდნენ მარადონასა და სხვა ვარსკვლავებს, „ბარსელონას" დირექტორატს მიეჭრნენ და „ნოუ კამპის" 120-ათასიანი სტადიონის გადაწვით დაემუქრნენ.

ენამწარე ესპანელი ჟურნალისტები არგენტინელს ხან რას მოუგონებდნენ და ხან — რას. „ეტყობა, ყველა ესპანელ მცველში იგი ჯენტილეს (უკიდურესი უხეშობით ცნობილ იტალიელს) ხედავს და ამიტომაც ეშინია" — წერდა ერთი. „რა გინდათ? ინფლაციური დოლარებით ინფლაციური საქონელი ვიყიდეთ", — განაცხადა ბარსელონის რადიოს კომენტატორმა ალექს ბოტინესმა, მარადონას მოთმინების ფიალა აევსო, რადიოში მიიჭრა და თავხედი ჟურნალისტის ცემა მოინდომა, რომელმაც უკანა კარებიდან გაქცევით უშველა თავს. მეორე დღეს პრესაში გამოჩნდა წერილები იმის შესახებ, რომ მარადონა „ხელჰყოფს პრესის თავისუფლებას", რომ მას აშკარად აკლია აღზრდა და ა.შ.

— როგორ შეიძლება აქ თამაში! — განაცხადა თავის მხრივ მარადონამ. — მინდორზე, უბრალოდ რომ ვთქვათ, დაუცველი ვარ. იტალიელი ჯენტილე, მსოფლიო ჩემპიონატზე ასე უხეშად რომ მეთამაშებოდა, ესპანელ მცველებთან შედარებით ნამდვილი მამა აბრამის ბატკანია.

— ასეთია ევროპული ფეხბურთი, დიეგო, — ამშვიდებდა მას ცნობილი მწვრთნელი ელენიო ერერა, — მასთან შეგუებას დრო სჭირდება.

1983 წლის ზაფხულიდან „ბარსელონას" სათავეში ლუის სესარ მენოტი ჩაუდგა. მან კლუბის დირექტორატს „ძველი დიდების" აღდგენა და მადრიდის „რეალის" დათრგუნვა აღუთქვა.

ლუის მენოტი

— რითი იყო დღემდე ცნობილი „ბარსელონა"? დიდი ფულითა და მრავალრიცხოვანი სკანდალური თავგადასავლებით. საფეხბურთო წარმატებები ნაკლებად ჰქონდა. ახლა კი, გარწმუნებთ, ვითარება შეიცვალა.

განცხადება, იცოცხლეთ, ხმამაღალი იყო, რაიმე საქმე კი არ გაკეთებულა. მარადონა ვირუსული ჰეპატიტით დაავადდა, კარგა ხნის მკურნალობაც სჭირდებოდა. „ბარსა" თანდათან სატურნირო ცხრილის შუაგულში დაეშვა, რაც ესოდენ მდიდარი კლუბისთვის კატასტროფას უდრიდა. როცა გუნდი მარცხს განიცდის, მთავარი დამნაშავე, გასაგებია, მწვრთნელი გახლავთ. ისე რომ, მალე მენოტის „ბარსელონასთან" გამოთხოვება მოუხდა და იგი „ჯადოქრად" წოდებულმა ელენიო ერერამ შეცვალა.

— მენოტის ევროპულ ფეხბურთში არაფერი გაეგება, — ასე დაიწყო თავისი პირველი პრეს-კონფერენცია ერერამ, — გაუთავებლად ესხმის თავს კოლეგებს, თითქოს ამით საქმე კეთდება. მრავალსიტყვაობით და ბაქიბუქით მხოლოდ მუჰამედ ალი თუ შეედრება. ბარსელონაში ნამდვილი არგენტინული კლანი დაარსა, იმას კი რას დაგიდევდათ, რომ გუნდს არავითარი წარმატება არ ჰქონდა. ავიღოთ, მაგალითად, მარადონა. იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთი ითამაშოს, მთელ თავის დროს იტალიურ კლუბებთან მოლაპარაკებას ანდომებს.

მარადონა ახალ მწვრთნელს არ მოერიდა და მას „ბებერი ჯამბაზი" უწოდა. დავაში ცნობილი გერმანელი ოსტატი, ბერნდ შუსტერი ჩაერია, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ ყველას და ყველაფერს ეომებოდა.

— მენოტიმ არგენტინელების მთელი ჯგუფი ჩამოიყვანა. მათი ფუნქციების გარკვევა ვერ მოვახერხე. ერთი რამ აუცილებლად სურდათ — როგორმე მარადონას დახმარებოდნენ. თუმცა, როგორ გინდა დაეხმარო. ჰეპატიტის გადატანის შემდეგ ნახევარ საათსაც ვერ თამაშობს.

მარადონა, ცხადია, მიხვდა, რომ „ბარსელონიდან" რაც შეიძლება მალე უნდა გაეღწია. ამ გუნდს უკვე 10 წელი, ჩემპიონობა არ ღირსებია და იცოდა, რომ ჯოხს სხვებთან ერთად, მასზედ გადატეხდნენ.

ბარსელონაში მას უკვე ყველაფერი აღიზიანებდა. არც ბარსელონელებს მოსწონდათ, რომ მას ყველგან შვიდი ახოვანი მცველი დაჰყვებოდა, ოთხი მანქანა ჰყავდა. აფროსანი ნავების შეჯიბრებაში მონაწილეობდა, ხელსაყრელ სარეკლამო ხელშეკრულებებს ხომ ბოლო არ უჩანდა. ერთ-ერთ მაღაზიაში 70-კილოგრამიანი ტორტიც კი გამოფინეს, რომელიც მთელი სიმაღლით მარადონას გამოსახავდა. ამიტომაც იყო, რომ გაბრაზებულ კატალონიელებს მარადონას დანახვაც კი არ უნდოდათ და მას „მილიარდონას" ეძახდნენ.

თუ ესპანეთში საქმე ცუდად წაუვიდა, სამაგიეროდ, იტალიის კლუბები დიეგოს დიდად აფასებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა „ნაპოლი", რომელსაც სურდა იტალიის წამყვანი კლუბებისათვის კონკურენცია გაეწია. ჯერ სოკრატესის ყიდვას აპირებდა, მაგრამ ბრაზილიელი პირდაპირ ცხვირწინ „ფიორენტინამ" ააცალა. მაშინ „ბარსელონას" მიმართა.

კატალონიელთა კლუბის დირექტორატის სხდომაზე მარადონას გაყიდვას 15-მა დაუჭირა მხარი, 4 კი წინააღმდეგი იყო. 1984 წლის 30 ივნისს ხელშეკრულება მზად იყო. „ბარსელონამ" 15 მილიარდი ლირა მიიღო და ვარსკვლავს გამოეთხოვა. თვით ფეხბურთელმა 1 მილიარდი და 785 მილიონი ლირა მიიღო, ყოველთვიურ ხელფასად 113 მილიონი ლირა დაენიშნეს, ორი მანქანა აჩუქეს, სამსართულიანი ვილა და წლიურად პირველი კლასის 10 ბილეთი ნეაპოლ-ბუენოს-აირესის საჰაერო გზაზე.

„მამა მია — 15 მილიარდი ლირა და ეს მხოლოდ ერთი კაცის საკუთრებაა. ასეთი თანხით ხომ ოთხი ათას იტალიურ ოჯახს ერთი წლის განმავლობაში შეუძლია ცხოვრება" — წერდნენ იტალიური გაზეთები.

ნეაპოლელები მარადონას ისეთი ზარზეიმით შეხვდნენ, როგორც ოდესღაც ჯუზეპე გარიბალდის თუ ელვისს. ქალაქის ქუჩებში მას ათასობით „ტიფოზი" შეეგება. პირველ ვარჯიშს „სან პაოლოს" სტადიონზე 70 ათასი კაცი ესწრებოდა. პირველ პრეს-კონფერენციაზე დაახლოებით 200 ჟურნალისტი მივიდა, რომელთაც მარადონამ განუცხადა, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე წინაპართა სამშობლოში თამაშზე ოცნებობდა.

უნდა ითქვას, რომ „ნაპოლიში" მარადონა დიდი აღმავლობით თამაშობდა და ეს აქამდე საშუალო გუნდი იტალიის ჩემპიონი გახდა. ის რომ, ნეაპოლელები „მილანს", „ინტერსა" და „იუვენტუსს" ამარცხებდნენ, ახლა უჩვეულოდ არავის ეჩვენებოდა — „ნაპოლის" ხომ თვით „ღვთაებრივი მარადონა" ჰყავდა.

1986 წლის დასაწყისში „ნეაპოლს" ფრანგი ჟურნალისტი ერიკ მეტრო ეწვია, რათა „მარადონას სოციალური ფენომენი" შეესწავლა. აი, რა განუცხადა მას ერთმა ხანდაზმულმა ნეაპოლელმა:

— იცით, უცხოელო, რა ხდება! ჩვენს ქალაქში პატარა ბავშვები ჯერ მარადონას სახელს წარმოთქვამენ, შემდეგ კი „დედას". ამ გაამაყებულ ჩრდილოეთ იტალიელებს ყველაფერი აქვთ: ნაყოფიერი მიწა, მშვენიერი სახლები, ბევრი ფული. მათი ქალებიც სილამაზით ჩვენებს სჯობნიან. მათ ყველაფერი აქვთ, მაგრამ არა ჰყავთ მარადონა.

ერთი სიტყვით, მარადონას ნამდვილად აღმერთებდნენ. მას დაავიწყდა ესპანეთში გადატანილი მძიმე წლები.

— ჩვენთვის მარადონა გაცილებით მეტია, ვიდრე ფეხბურთის ვარსკვლავი, — წერდა ერთი ნეაპოლელი ჟურნალისტი, — როცა ის თამაშობს, ნეაპოლელები შიმშილსაც ივიწყებენ და სილატაკესაც, სიცივესაც და უმუშევრობასაც. მარადონას გოლები გააქვს (თანაც როგორები!) და ამაში მილიონებს იღებს, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ნეაპოლელს, ამ მილიონებისა რომ შურდეს. ისევე, როგორც წარმოუდგენელია რომელიმე ბუდისტი, ბუდას ოქროს სამკაულს რომ დაადგას თვალი.

(გაგრძელება იქნება)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **დასრულდა აშშ-ს** რეგულარული ჩემპიონატი. ზედიზედ მესამედ ჩემპიონის წოდება კლუბმა „ვაშინგტონ დი სი იუნაიტედმა" მოიპოვა. ფინალურ მატჩში მან სძლია „ლოს-ანჯელეს გელექსის" — 2-0. მატჩის ბედი უკვე პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა გოლები გაიტანეს ხაიმე მორენომ და ბენ ოლსენმა.

— ამ სწრაფმა გოლებმა განაპირობა ჩვენი გამარჯვება. შემდეგში ჩვენ მხოლოდ ბურთის კონტროლი მოგვიხდა, — განაცხადა „ვაშინგტონ დი სი იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა თომას რონგენმა.

● **ლევერკუზენის** „ბაიერი" ბრაზილიელ ნახევარმცველ ემერსონის გაყიდვას აპირებს.

ამ ფეხბურთელის შეძენა სურთ ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს", ესპანურ „რეალს", იტალიურ „იუვენტუსსა" და „ინტერს". ყველაზე რეალურ პრეტენდენტად კი „რომა" ითვლება, რომელიც მზად არის ბრაზილიელში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

● **იტალიაში** ეროვნული თასის გათამაშება გაცილებით უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე სხვა წამყვან ევროპულ ქვეყნებში. ამას წინათ, ყურადღება მიიპყრო „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის განცხადებამ, რომ ეს ტურნირი „არავის სჭირდება". თასის ჩამტარებელმა კომიტეტმა გალიანის მკაცრი კრიტიკით უპასუხა და ამავე დროს ურჩია მატჩის ბილეთების ფასი დაეწია, რათა მეტი მაყურებელი მისულიყო. ეს შემთხვევით არ ყოფილა თქმული: ასე მაგალითად, „ინტერისა" და „ბოლონიას" სათასო შეხვედრას სულ 3647 კაცი დაესწრო. „ეს მატჩი რომ ჩემპიონატში ჩატარებულიყო, 15-ჯერ მეტი მაყურებელი მოვიდოდა", — წერდნენ იტალიური გაზეთები.

თასის კრიტიკოსებს არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმება „იუვენტუსის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი:

— ოთხჯერ მოვიპოვე თასი და ყოველთვის დიდ სიხარულს განვიცდიდი. ამ შეჯიბრებას უმდიდრესი ტრადიცია აქვს და მას ნუ დავამცირებთ.

● **კატალონიის** ტელევიზიამ მოაწყო კონკურსი „ბარსელონას" გულშემატკივრებს შორის, რომლებსაც უნდა დაესახელებინათ ამ კლუბის საუკეთესო მოთამაშე მთელი ასწლიანი ისტორიის მანძილზე. ასეთად მიიჩნიეს ლადისლაო კუბალა.

— გაოცებული და მადლიერი ვარ იმის გამო, რომ გულშემატკივრებს კიდევ ვახსოვარ — განაცხადა გულაჩუყებულმა კუბალამ.

მეორე ადგილი იოჰან კრუიფმა დაიკავა, მესამე — დიეგო მარადონამ.

ბათუმის ასპარეზობა, გაკვეთილი მომავალი ოლიმპიადის წინ

ბათუმი (ჩვენი სპეც. კორ.). საქართველო, როგორც მოგეხსენებათ, ევროპის გუნდურ პირველობაზე 5 ნაკრებით მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრებები შეჯიბრებაში მხოლოდ გამოცდილების მიღების მიზნით ჩაებნენ. მათგან რაიმე მაღალ შედეგს არავინ ელოდა და ასეთი ამოცანა არც ყოფილა. ერთი სიტყვით, ამ ორი გუნდის მონაწილეობამ გაამართლა იმ თვალსაზრისით, რომ ახალგაზრდებმა სატურნირო გამოცდილება მიიღეს — მათ ხომ მომავალში ჩვენი წამყვანი დიდოსტატები უნდა შეცვალონ. თაობათა ცვლის პროცესი კი, როგორც ეს თუნდაც ბათუმის ასპარეზობამ გვიჩვენა, ჩვენში ყოველთვის მწვავე ხასიათს ატარებს.

ახლა კი იმ გუნდებზე, რომელთა წინაშე სპორტული ამოცანები იყო დასახული: ვაჟთა პირველ და ქალთა ორ ნაკრებებზე.

ცხადი იყო, საქართველოს ვაჟთა პირველ ნაკრებს ძალიან გაუჭირდებოდა. მას ხომ ორი წამყვანი მოთამაშე აკლდა, რომლებიც მართალია, უდავოდ პერსპექტიულმა, მაგრამ ასეთი რანგის ბრძოლებში სრულიად გამოუცდელებმა თამაზ გელაშვილმა (ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს) და ვალერი გაფრინდაშვილმა შეცვალეს. უსიამოვნო პროგნოზი, რამდენადაც საწყენი არ უნდა იყოს, სრულიად გამართლდა. 29-ე ადგილი, თუნდაც ასეთ ვითარებაში, ჩვენთვის მაინც უჩვეულოდ მწირად გვეჩვენება.

ბოლო ტურში საქართველოს პირველი ნაკრები შვეიცარიელებს ხვდებოდა, არც ისე ძლიერ გუნდს, რომელსაც, მართალია, პირველ დაფაზე ნამდვილი კორიფე ჰყავს — 68 წლის ვიქტორ კორჩნოი, მას კი ასაკი სრულიადაც არ ეტყობა. ჩვენმა ნაკრებმა მძიმე მარცხი განიცადა: 0,5:3,5. პირველ დაფაზე კორჩნოისთან დამარცხებისათვის გია გიორგაძეს ვინ გაამტყუნებს. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 21-ე ადგილი დაიკავა. მის მთელ რიგ წევრებს არც ნიჭი აკლიათ და არც მონდომება. გამოცდილება კი, ვიმეორებთ, თანდათანობით მოვა.

ევროპის ჩემპიონები სომხები გახდნენ. დიდი წარმატებით თამაშობდნენ გამოცდილი დიდოსტატები სმბატ ლპუტიანი, არტაშეს მინასიანი (სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ჩემპიონი), აშოტ ანასტასიანი, განსაკუთრებით კი ჭაბუკი ლევონ არონიანი, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის მონაწილე ლას-ვეგასში, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სომხეთის ნაკრების წარმატება სრულიად დამსახურებულია.

მეორე ადგილზე გავიდა უნგრეთის ძლიერი გუნდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იუდით პოლგარის ბრწყინვალე წარმატება, რომელიც ზედიზედ აურევინებდა ვაჟებს ფარ-ხმალს. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ იუდითის შედეგი მოსალოდნელიც იყო — იგი ხომ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატად ითვლება... ვაჟთა შორის.

მესამე ადგილი გერმანიის ძლიერმა კლუბმა დაიკავა, რომელიც უოფილი საბჭოთა კავშირიდან გადასახლებული დიდოსტატებითაცაა „მომაგრებული".

ახლა ზოგი რამ ქალთა ასპარეზობის შესახებ. ძნელი სათქმელია, ჩვენი რომელი ნაკრები იყო უფრო ძლიერი: პირველი (ხურციძე, არახამია, ნიკოლაძე) თუ მეორე (იოსელიანი, გურიელი, დარჩია). რეიტინგის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, აქ უკეთესად უფრო მეორე გუნდი გამოიყურებოდა, მაგრამ მოლოდინი არც ერთმა გაამართლა და არც მეორემ. პირველ ნაკრებში ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად „დემობილიზებული" აღმოჩნდა ამჟამად შოტლანდიაში მცხოვრები ქეთევან არახამია. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ბოლო ტურნირის მონაწილე არახამია იმდენად ულიმლამოდ თამაშობდა, რომ მეორე დაფაზეც კი სრულიად უცნობ მოჭადრაკეებთან აგებდა. ხურციძე და ნიკოლაძე, საერთოდ, ურიგოდ არ გამოსულან. საქმე გააფუჭა უკანასკნელ ტურში უკრაინელებთან 0-2 დამარცხებამ, რამაც ჩვენს ნაკრებს საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის ყოველგვარი შესაძლებლობები დაუკარგა. საერთოდ კი, მეათე ადგილი ვერაფერი შედეგია.

მეორე ნაკრები აჭარის სახელით გამოდიოდა. სრულიად მოულოდნელი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის, მაღალი რეიტინგის მქონე ნანა იოსელიანის არაერთგზისი მარცხი. უკანასკნელ ტურში ჩვენები აზერბაიჯანელებთან დამარცხდნენ 0,5:1,5 (ეს ისტორიაში პირველად მოხდა!), რამაც მათ მე-17 ადგილამდე დაახევინა.

ტურნირის დაწყებამდე ბევრი ექსპერტი ჩემპიონობის ამა თუ იმ პრეტენდენტს ასახელებდა, მაგრამ არც ერთ მათგანს სიტყვაც არ წამოსცდენია სლოვაკეთის ნაკრებზე. ან კი როგორ წამოსცდებოდა, როცა არც სიუზანა მაგაროვა და არც რეგინა პოკორნა აქამდე დიდად არაფრით გამოირჩეოდნენ, საზონათშორისო ტურნირში კი არა, უბრალო საერთაშორისო ასპარეზობებშიც კი არავინ იწვევდა. ისე კი, დიდი მოულოდნელობა მოხდა: სლოვაკებმა, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ ითამაშეს და ბოლო, მეცხრე ტურში რუმინელებთან დამარცხების მიუხედავად (0,5:1,5) მაინც დაიკავეს პირველი ადგილი (12,5 ქულა). ისე რომ, ევროპას სრულიად მოულოდნელი ჩემპიონი მოევლინა: მოულოდნელი, მაგრამ ამავე დროს ისიც ვთქვათ, რომ ახალგაზრდა სლოვაკი ოსტატების წარმატება სავსებით დამსახურებულია. ნუღა ვიმსჯელებთ გუშინდელი სტერეოტიპებით — საჭადრაკო სამყაროში დიდი ცვლილებები ხდება.

12-12 ქულა მოაგროვეს იუგოსლავიისა და რუმინეთის ძლიერმა, ავტორიტეტულმა ნაკრებებმა, მათ, ვისაც საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა შორის წინასწარაც მოიაზრებდნენ.

მაშ ასე, ევროპის გუნდური პირველობა დამთავრდა, წინ სტამბულის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაა, მისთვის კი საგანგებო მომზადება და ბევრი რამის გადასინჯვაა საჭირო. ისე რომ, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციას დიდი მუშაობა მოელის.

* * *

ჩემპიონატის მცირე მედლები გათამაშდა დაფების მიხედვით. ინგა ჭარხალაშვილს ოქროს მედალი ხვდა (5-დან 4 ქულა), ნინო ხურციძეს — ვერცხლისა (8-დან 6).

საჭადრაკო ფედერაცია ბათუმში ხომ არ გადავა?

რეგიონული სპორტული ორგანიზაციების შექმნა ჩვეულებრივ ამბად იქცა და ახლა ასეთ სტრუქტურებს დღემდე „თამაშგარეთ" დარჩენილი სპორტის სახეობებიც ქმნიან. ჩვეულებრივ ახალი ალიანსი რომელიმე დიდი მასშტაბის სპორტულ ღონისძიებაზე იკვრება ხოლმე. ბათუმში ევროპის საჭადრაკო სამყაროს თავშეყრა ჩინებული ფონი გამოდგა, რათა შავი ზღვის აუზის ქვეყნებს სპორტის ამ სახეობაში თავიანთი კავშირის შექმნის ჩანაფიქრი პრაქტიკულად განეხორციელებინათ.

ბათუმის სახელმწიფო თეატრში შემდგარმა ევროპის საჭადრაკო ფედერაციის გენერალური ანსამბლეის სხდომამ, რომელსაც კონტინენტის 37 ქვეყნის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი და თვით ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი ესწრებოდა, ერთხმად გადაწყვიტა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო კავშირის შექმნა. კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. ამიერიდან მას რიგრიგობით ორ სავარძელში ჯდომა მოუწევს, რადგან ახალი კავშირის შტაბბინა ბათუმში იქნება. ძალიან სათუოა, რომ საქართველოს ფედერაციამ ბათუმში გადაინაცვლოს, თუმცა ამაზე გარკვეულ წილად იყო მინიშნებები, საკითხი ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ქვიმატი ობიექტივი

ოუენსის პრიზის ლაურეატები

აშშ-ში ყოველწლიურად ავლენენ ყველაზე საუკეთესო თითო მძლეოსან ქალს და მამაკაცს, რჩეულებს კი მეტად საპატიო ჯილდოს — ჯესი ოუენსის სახელობის პრიზით აჯილდოებენ. წლეულს ეს სანუკვარო პრიზი წილად ხვდათ ინგერ მილერს და მორის გრინს. მილერს — სევილიაში მსოფლიოს ჩემპიონატში 100 მ-ზე რბენაში ოქროსა და 200 მ-ზე ვერცხლის მედლების მოპოვებისათვის, გრინს — კი 100 მ. რბენაში მსოფლიო რეკორდის დამყარებისა და მსოფლიო ჩემპიონატში 100,200 და 4X100 მ. ესტაფეტაში 3 ოქროს მედლის მოპოვებისათვის.

რა ხდება ქვეყანაზე

„ნესვის" მსახური დები

ტაიმებს შორის შესვენებაზე მწვრთნელი, ცალ ხელში ლოცვების კრებული რომ ეჭირა, მეორეთი კი გრძელი კაბის ნაკეცებს ისწორებდა, ჭაბუკ რაგბისტებს მოძღვრავდა. მერე წიგნი გადადო და შეცდომებზე მიუთითა. დარიგებები მისმა თანაშემწემ შეავსო, გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდა იგი მთავარისაგან.

ეს უჩვეულო სცენა ავსტრალიაში „გათამაშდა", სადაც ადრე რაგბი არნახულად პოპულარული გახლდათ და მწვრთნელთა დიდ დეფიციტს განიცდიდნენ „მწვანე კონტინენტზე". ამიტომაც ერთ-ერთი სკოლის მწვრთნელის როლში გამოდიოდა ადგილობრივი მონასტრის ეს ორი მონაზონი. დებმა წინასწარ მოისმინეს თამაშის თეორიისა და პრაქტიკის ლექციების მთლიანი კურსი. შედეგად, ამ სკოლის გუნდმა პროვინციის ჩემპიონობა მოიპოვა.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



10 დეკემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი-99 (22.20), ***II არხი.*** სუპერ-მატჩი (20.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული გადაცემა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: ფეიენოორდი – ოლიმპიკი (13.20), ბარსელონა – სპარტა (17.15), მიმოხილვა – (15.05). შოტლანდიის (19.15), ჰოლანდიის (21.10), გერმანიის (22.55, პირდაპირი რეპორტაჟი), შოტლანდიის (1.10) ჩემპიონატების მატჩები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.40). ***ESPN.*** ფრენბურთი: ბრაზილია – იტალია (12.30), ჩემპიონთა ლიგა: რუსენბორგი – რეალი (14.00), მარსელი – ფეიენოორდი (16.00). ესპანეთის საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა (0.00). ***EUROSPORT.*** მსოფლიო თასი: სამთოთხილამურეები (13.00), ბიატლონი (14.00, 15.00, 22.00). ციგები (21.00, 23.00). ფეხბურთი. უეფას თასი (17.00). ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (19.00).

11 დეკემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „სტადიონი" (19.05), ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.10), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის (13.15), გერმანიის (14.55), ჰოლანდიის (16.40), გერმანიის (18.25, პირდაპირი რეპორტაჟი), იტალიის ან ესპანეთის, თქვენი შერჩევით (23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.55). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.30, 15.05, 19.30). ***EUROSPORT.*** მსოფლიო თასი: სამთო თხილამურები (13.30, 18.00), ბიატლონი (14.30), თხილამურები (16.00), ბობსლეი (19.00). ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (19.45). ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (22.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (3.00).

12 დეკემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (19.40), ***„იბერია".*** ბურთი და მოედანი (9.15). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), ბრაზილიის (15.00), იტალიის (16.45), საფრანგეთის (19.15), ესპანეთის (20.00) ჩემპიონატების მიმოხილვა, პირდაპირი ტრანსლაცია იტალიიდან (23.25), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები" – ხ. კამპოსი (23.05). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.35). ***НТВ плюс спорт*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.40, 20.55), „დიდი რინგი" (13.15), ტაი-კვანდო (16.55) ნხლ-ის კვირეული (1.15). ***ESPN.*** ფრენბურთი. კორეა – ბრაზილია (2.00).

შერეული კროსვორდი

თარაზულად: 6. ცნობილი მოჭადრაკე ქალი, 9. ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ყოფილი ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, 10. ცნობილი ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, 12. ველოსიპედისტთა არენა, 14. ლევერკუზენის „ბაიერის" სპონსორი, 15. დიდი სპორტული არენა, 16. ვლ. ბარქაიას მეტსახელი, 17. ოქროს საბადოების ზღაპრული ქვეყანა, 19. ცნობილი იაპონელი ძიუდოისტი, 23. ინგლისური საზომი, 25. ახალი სატელეფონო ქსელები თბილისში, 26. სარმა ანუ... 29. ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში.

შვეულად: 1. იტალიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი, 2. იაპონელი ფეხბურთელი, ნაკრების წევრი (1998), 3. თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, 4. სპორტული ავტომანქანების ფირმა, 5. ყოფილი ქართველი ფეხბურთელი — მწვრთნელი, 7. ლეგენდარული მოკრივე, 8. საჯარიმო კუთხური დარტყმა (ინგ), 9. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 11. პიროვნების ხელშეუხებლობა ანუ... 12. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, 13. გარემარბი ანუ... 18. დიდი ბრიტანეთის სამეფოს ნაწილი, 20. პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი, 21. გულის ნორმალური რიტმის დარღვევა, 22. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 24. საქართველოს მთიანი მხარე, 27. ცნობილი პროფესიონალი კალათბურთელი, 28. საქართველოს ინგლისური გამოთქმა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სამპდორია, 6. სტაიერი, 9. ანანდი, 12. ჩილავერტი, 14. ვერდერი, 17. სტიაუა, 18. ფლორა, 19. ღერძი, 20. გოგია, 22. შეტევა, 26. იორდანესკუ, 27. პიდინკი, 28. ვილა, 29. პარტია, 30. ფარი, 31. ტალები. **შვეულად:** 2. ალგა, 3. დიდი, 4. ლი, 5. ტირი, 7. ტრავერსი, 8. ლელო, 10. დურდიაძე, 11. ფრე, 12. ჩირალდანი, 13. დვალიშვილი, 15. აუტი, 16. ტრეზორი, 21. ორტეგა, 23. ალანია, 24. ავსტრია, 25. ფლირტი, 28. გეა.

საჭადრაკო ამოცანა

ა. ჩუმაკოვი

„შახმატ ვ სსრ", 1973 წ.



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლg8! მუქარა 2. ლd5X.
1. ...მფb5 2. ლc4+ მფ:c4 3. მd6X.
2. ...მფa5 3. ეa3X.
1. ...მფd7 2. ლe6+ მფ:e6 3. მc5X.
1. ...მფb7 2. ლ:d8 მფ:a6 3. ლb6X.
2. ...მფa8 3. ლd5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.